ტესტი მუსიკაში

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები 1-6. (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა)

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და გაეცით პასუხები შესაბამის კითხვებზე. პირველ ექვს დავალებაში თითოეულისათვის განკუთვნილია ერთი მუსიკალური ფრაგმენტი და ორი კითხვა. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. აირჩიეთ და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ ერთი სწორი პასუხი.

მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია.

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი, რათა წაიკითხოთ დავალების კითხვები.

(დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან)

დავალება 1.

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (1.1 და 1.2):

1.1 რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) გურიის;

ბ) სამეგრელოს;

გ) კახეთის;

დ) აჭარის.

1.2 რა ჟანრის სიმღერაა?

ა) შრომის;

ბ) კალენდარული;

გ) ლაშქრული;

დ) სუფრული.

დავალება 2.

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (2.1 და 2.2):

2.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ჯანსუღ კახიძე;

ბ) ინოლა გურგულია;

გ) გოგი ცაბაძე;

დ) დავით თორაძე.

2.2 რომელი კინოფილმიდან არის სიმღერა?

ა) „სხვისი შვილები“;

ბ) „ნინო“;

გ) „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“;

დ) „შეხვედრა მთაში“.

დავალება 3.

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (3.1 და 3.2):

3.1 რომელი ეპოქის ნაწარმოებია?

ა) რენესანსის;

ბ) XIX საუკუნის;

გ) ბაროკოს;

დ) XX საუკუნის.

3.2 რომელი ჟანრის ფრაგმენტია?

ა) ოპერის;

ბ) კანტატის;

გ) მესას;

დ) ორატორიის.

დავალება 4.

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (4.1 და 4.2):

4.1 რომელი პერსონაჟის პარტია ჟღერს?

ა) ქერუბინოს;

ბ) დონ ჯოვანის;

გ) პაპაგენოს;

დ) ფიგაროს.

4.2 რა ჟანრის სოლო საოპერო ნომერია?

ა) არიოზო;

ბ) რომანსი;

გ) კავატინა;

დ) არია.

დავალება 5.

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (5.1 და 5.2):

5.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ფელიქს მენდელსონი;

ბ) რობერტ შუმანი;

გ) იოჰანეს ბრამსი;

დ) კარლ ვებერი.

5.2 რომელი ცეკვა უდევს საფუძვლად ნაწარმოებს?

ა) ხორა;

ბ) ობერეკი;

გ) ჩარდაში;

დ) პოლკა.

დავალება 6.

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (6.1 და 6.2):

6.1 რომელი ჟანრის ნაწარმოების ფრაგმენტია?

ა) ორატორიის;

ბ) ოპერეტის;

გ) ბალეტის;

დ) მიუზიკლის.

6.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ლეონარდ ბერნსტაინი;

ბ) ჯორჯ გერშვინი;

გ) ლაიონელ ბარტი;

დ) ენდრიუ ლოიდ უებერი.

დავალება 7. (1 ქულა)

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი კილოს შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი. კილოს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



დავალება 8. (1 ქულა)

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი რიტმული ფიგურაციის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი. რიტმულ ფიგურაციას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



დავალება 9. (5 ქულა)

მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. **მოისმინეთ მელოდია და ჩაწერეთ სანოტო სისტემაზე. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ოთხჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია.**

კარნახი მოცემულია ტონალობაში: მი მინორი (e moll).

<u>თქვენს მიერ ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაზე.</u>

დავალება 10. (13 ქულა)

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი

<u>**ინსტრუქცია**</u>**.** **მოისმინეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი და გაანალიზეთ მოცემული საკითხების მიხედვით, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე.**

ფრაგმენტის ჩანაწერს მოისმენთ სამჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

(კითხვები მოცემულია მომდევნო ორ გვერდზე)

1. რომელ ვოკალურ ჟანრს ეკუთვნის მოცემული ფრაგმენტი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი (2 ქულა).

2. დაადგინეთ (3 ქულა):

ა) 28 - 36 ტაქტებში მოთავსებული მონაკვეთის მუსიკალური ფორმა (1 ქულა);

ბ) მითითებული მონაკვეთის საწყისი ტონალობა (28-ე ტაქტიდან) (1 ქულა);

გ) 34-36 ტაქტებში მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები (1 ქულა).

3. დაახასიათეთ, როგორ ვითარდება მუსიკალური ფრაგმენტის მხატვრულ-ემოციური მხარე; გააანალიზეთ განვითარების დინამიკა და მოკლედ აღწერეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხები - როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, ტემბრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა. შ. - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსიკალური ფრაგმენტის მხატვრული შინაარსის შექმნისათვის (3 ქულა).

4. მოსმენილი ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე დაადგინეთ ნაწარმოების შექმნის ეპოქა და კომპოზიტორის ვინაობა (2 ქულა).

5. კომპოზიტორის ვინაობის დადგენის შემთხვევაში, მოკლედ დაახასიათეთ მოსმენილი ნაწარმოების ავტორის შემოქმედება; მიუთითეთ ნოვატორული მიღწევები, განსაზღვრეთ პერიოდიზაცია და აღნიშნეთ, რა შინაარსობრივ, ჟანრულ და მხატვრულ ცვლილებებს განიცდის კომპოზიტორის შემოქმედება. განიხილეთ მოსმენილი ნაწარმოების მუსიკალურ-მხატვრული კონტექსტის თავისებურება (3 ქულა).

(მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერი მოცემულია მომდევნო გვერდებზე)

Allegro agitato (♩ = 138)

1

Ri - tor - no vin - ci - tor!.. E dal mio lab - bro u - sci l'ein - pia pa -

ff *pp*

5

ro - la! vin - ci - tor del pa - dre mi - o... di lui che im -

f *pp*


pu - gna l'ar - mi per me... per ri - do - nar - mi u - na pa - tria, u - na reg - gia e il no - me il -
lu - stre che qui ce - lar m'e for - za! Vin - ci tor de' miei fra -
f


16
tel - li... ond' io lo veg - ga, tin - to del san - gue a -
pp
20
ma - to, tri - on-far nel plau - - - - so dell' E - gi - zie co -
f
f

24

or - ti!.. E die - tro il car - ro, un Re... mio pa - dre... di ca - te - ne av - vin - to!..

ff

Piu mosso (𝅗𝅥 = 100)

28

pp

L'in - sa - na pa - ro - la, o nu - mi, sper - de - te! Al

pp

33

se - no d'un pa - dre la fi - glia ren - de - te; strug - ge - - -

f

38

te, strug - ge - - - te, strug - ge - te le squa - dre dei

43

no - stri op - pres - sor! Ah! sven - tu - ra - ta! che

ff

ff

Andante poco piu lento della I volta

48

dis - si? e l'a - mor mi - o? Dun - que scor - dar pos -

p *cantabile*

pp

52

s'i - o que - sto fer - vi - do a - mo - re che, op - pres - sa e schia - va, co - me rag - gio di

55

sol qui mi be - a - va? Im - pre - che - ro la mor - te a Ra - da -

pp *dolce*

58

mes... a lui ch'a - mo pur tan - to!

f

Ah, non fu in ter - ra

61

mai da piu cru - de - - - li an - go - scie un co - re af - fran - to!


rall.
64
64
3
3
morendo

II ნაწილი

დავალებები 11-28. (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა)

<u>ინსტრუქცია</u>. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

დავალება 11.

რომელი კომპოზიტორისათვის *<u>არ იყო</u>* სიმფონიის ჟანრი მხატვრული იდეის გამოხატვის საშუალება?

ა) შუმანისათვის;

ბ) შუბერტისათვის;

გ) შოპენისათვის;

დ) მენდელსონისათვის.

დავალება 12.

რომელი ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრის სოლისტია - *ევანგელისტი*?

ა) ორატორიის;

ბ) მესას;

გ) პასიონის;

დ) კანტატის.

დავალება 13.

რომელი განსაზღვრება შეესატყვისება ტოკატას?

ა) ნაწარმოები სოლისტი ვოკალისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის;

ბ) ჩქარი ტემპის, რიტმულად რთული, ვირტუოზული პიესა;

გ) ნაწარმოები, რომლის შესრულებაშიც მონაცვლეობს ორკესტრი და სოლისტი;

დ) პროგრამული ტიპის პიესა.

დავალება 14.

რომელი საოპერო თეატრი მდებარეობს დიდ ბრიტანეთში?

ა) „ლა სკალა“;

ბ) „მეტროპოლიტენ ოპერა“;

გ) „სამეფო ოპერა“;

დ) „გრანდ ოპერა“.

დავალება 15.

ი. ხეიფეცი, ი. მენუხინი, ლ. ბათიაშვილი არიან, პირველ რიგში, სახელგანთქმული:

ა) პიანისტები;

ბ) მევიოლინეები;

გ) ვიოლონჩელისტები;

დ) დირიჟორები.

დავალება 16.

რომელი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებაში მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა საგუნდო მუსიკის ჟანრს?

ა) ზაქარია ფალიაშვილის;

ბ) დიმიტრი არაყიშვილის;

გ) ნიკო სულხანიშვილის;

დ) მელიტონ ბალანჩივაძის.

დავალება 17.

რომელი სტილის ნიშნები გამომჟღავნდა ბეთჰოვენის ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში?

ა) მინიმალიზმის;

ბ) რომანტიზმის;

გ) ექსპრესიონიზმის;

დ) იმპრესიონიზმის.

დავალება 18.

რომელი ქართული ოპერის საგუნდო სცენის საფუძველია ხალხური სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“?

ა) „თქმულება შოთა რუსთაველზე“;

ბ) „მინდია“;

გ) „აბესალომ და ეთერი“;

დ) „ქეთო და კოტე“.

დავალება 19.

რომელი კომპოზიტორები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერთსა და იმავე პერიოდში?

ა) იოჰან შტრაუსი, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი;

ბ) ამადეუს მოცარტი, იოჰანეს ბრამსი;

გ) ჯოაკინო როსინი, ჯუზეპე ვერდი;

დ) ანტონიო ვივალდი, ლუიჯი პალესტრინა.

დავალება 20.

ვინ იყო ქართული ფოლკლორული გუნდის ფუძემდებელი XIX საუკუნეში?

ა) ზაქარია ფალიაშვილი;

ბ) დიმიტრი არაყიშვილი;

გ) ია კარგარეთელი;

დ) ლადო აღნიაშვილი.

დავალება 21.

ცეკვა „ტარანტელას“ სამშობლოა:

ა) საფრანგეთი;

ბ) არგენტინა;

გ) ესპანეთი;

დ) იტალია.

დავალება 22.

რომელი ოპერა *<u>არ შეუქმნია</u>* ვ. ა. მოცარტს?

ა) „ჯადოსნური ფლეიტა“;

ბ) „თავისუფალი მსროლელი“;

გ) „ფიგაროს ქორწინება“;

დ) „დონ ჯოვანი“.

დავალება 23.

რომელი *<u>არ არის</u>* ხალხური სიმღერა?

ა) „წინწყარო“;

ბ) „ხასანბეგურა“;

გ) „ჭიჭე ტურა“;

დ) „შენ ხარ ვენახი“.

დავალება 24.

სანოტო ჩანაწერში მოცემული რიტმული ნახაზებიდან რომელია პუნქტირული რიტმი?

ა) 

ბ) 

გ)

დ)

დავალება 25.

ლისტის საფორტეპიანო შემოქმედების ნიმუში *<u>არ არის:</u>*

ა) მოგზაურობის შთაბეჭდილებებით შექმნილი პიესები;

ბ) პრელუდების ციკლი;

გ) პროგრამული საკონცერტო ეტიუდები;

დ) პარაფრაზები საოპერო თემებზე.

დავალება 26.

რომელი ოპერა არ იწყება უვერტიურით?

ა) „ტანჰოიზერი“;

ბ) „სევილიელი დალაქი“;

გ) „ბოჰემა“;

დ) „ორფევსი და ევრიდიკე“.

დავალება 27.

რომელი მუსიკალური ტერმინი ნიშნავს შესრულებას „მღერადად“?

ა) Dolce;

ბ) Agitato;

გ) Cantabile;

დ) Pesante.

დავალება 28.

რა ეწოდება მუსიკალურ ნაწარმოებში ერთი და იმავე მელოდიური ფრაზის, რიტმული სურათის ან ჰარმონიული ბრუნვის რამდენჯერმე გამეორებას?

ა) ოსტინატო;

ბ) ციტირება;

გ) კოლაჟი;

დ) ალეატორიკა.

დავალებები 29 - 32 (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა).

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. ააგეთ <u>*ფა*</u> ნოტიდან მოცემული ინტერვალი, სამ- და ოთხხმიანი აკორდები, კილო და ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში:

29. მცირე სეპტიმა;

30. მინორული სექსტაკორდი;

31. მცირე მინორული სეპტაკორდი;

32. მელოდიური მაჟორი.

დავალებები 33 - 35.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ მოცემულობათა შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის <u>მხოლოდ ერთი</u> მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). თითოეული შესაბამისობა მონიშნეთ X ნიშნით, პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში.

დავალება 33 (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა).

შეუსაბამეთ კომპოზიტორები ეპოქებსა და სტილებს:

1. კლოდ დებიუსი	ა) რენესანსი
2. ქრისტოფ გლუკი	ბ) ნეოკლასიციზმი
3. იოჰანეს ბრამსი	გ) რომანტიზმი
	დ) კლასიციზმი
	ე) იმპრესიონიზმი

დავალება 34 (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა).

დაადგინეთ შესაბამისობა ბალეტებსა და კომპოზიტორებს შორის:

1. „პეტრუშკა“	ა) როდიონ შჩედრინი
2. „დონ კიხოტი“	ბ) ადოლფ ადანი
3. „ჟიზელი“	გ) კლოდ დებიუსი
	დ) იგორ სტრავინსკი
	ე) ლუდვიგ მინკუსი

დავალება 35 (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა).

დაადგინეთ შესაბამისობა სიმფონიურ ნაწარმოებებსა და ჟანრებს შორის:

1. „ეგმონტი“	ა) სიმფონიური სუიტა
2. „პრელუდები“	ბ) პროგრამული სიმფონია
3. „შეხერაზადა“	გ) სიმფონიური უვერტიურა
	დ) სიმფონიური პიესა
	ე) სიმფონიური პოემა

დავალებები 36–40. (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა)

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა X ნიშნით; ასეთ შემთხვევაში, კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.

მცდარი დებულების შემთხვევაში, მოცემულ განმარტებას შეუსაბამეთ სწორი ტერმინი/სიტყვა ან მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწერეთ სწორი განმარტება.

<u>გაითვალისწინეთ</u>, რომ არ მიიღება პასუხი, სადაც მოცემული განმარტების დადებითი ფორმა შეიცვლება უარყოფითით ან პირიქით.

დავალება 36.

ფრიდერიკ შოპენი არის საფორტეპიანო ბალადის ფუძემდებელი.

დავალება 37.

სუიტის ჟანრი წარმოადგენს ერთნაწილიან ვირტუოზულ პიესას ორკესტრისათვის.

დავალება 38.

არნოლდ შონბერგმა შეიმუშავა კომპოზიციის ახალი მეთოდი - დოდეკაფონია.

დავალება 39.

ზინგშპილი არის საოპერო ჟანრი, რომლის დრამატურგია აგებულია არიების, ანსამბლების, გუნდებისა და secco რეჩიტატივების მონაცვლეობაზე.

დავალება 40.

ოპერა „ფიგაროს ქორწინების“ ლიბრეტო გერმანულ ენაზეა დაწერილი.

დავალებები 41 – 42 (თითოეული დავალება 1 ქულა).

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად, უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ცხრილში ქრონოლოგიური მიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში, შერჩეული ციფრის გასწვრივ, ჩაწერეთ სწორი პასუხები ანბანის შესატყვისი ასოებით (ა, ბ, გ, დ).

დავალება 41.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ჩამონათვალი ნაწარმოებების შეთხზვის პერიოდის მიხედვით:

ა) „სტიქსი“ სოლო ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის;

ბ) ოპერა „მინდია“;

გ) „იგავი“ მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისათვის;

დ) სიმფონიური პოემა „ზვიადაური“.

დავალება 42.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართველი ბალერინების გვარების ჩამონათვალი, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის მიხედვით:

ა) ნინო ანანიაშვილი;

ბ) ვერა წიგნაძე;

გ) ლალი კანდელაკი;

დ) მაკა მახარაძე.